

უმრავლესობის მქონე აქციონერთა ხელმძღვანელობის მოვალეობები

მარიამ გოხიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარიამ გოხიძე :

აბსტრაქტი

ნებისმიერი საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელმძღვანელობა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული საზოგადოების სარგებლიანობა და წარმატებული საქმიანობა. განსაკუთრებით საინტერესოა ხელმძღვანელობის ინსტიტუტი მაშინ, როცა საზოგადოებას ყავს უმრავლესობის მქონე აქციონერი, რომელიც ფლობს შესაბამის ძალაუფლებას, რათა ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. როგორც ვიცით, აქციონერს, საზოგადოებასთან აკავშირებს კორპორაციულ სამართლებრივი სტატუსი, ამ სტატუსიდან გამომდინარე ის არის გარკვეული ქონებრივი და მმართველობითი უფლებების მატარებელი. ამ უფლებებთან ერთად კი გარკვეული მოვალეობების სუბიექტი, რომელთა დაცვაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და სხვა აქციონერების მიმართ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ ენაზე ვერ მოვიძიე ვერცერთი ნაშრომი, სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ძალიან დავინტერესდი და საბოლოოს შევჯერდი ნაშრომის სათაურზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები : სააქციო საზოგადოება, უმრავლესობის მქონე აქციონერები, ხელმძღვანელობის მოვალეობები.

Abstract

Management plays an important role in any society. We should note that the successful work and the benefit of the company depends on the managers. This system is exceptionally interesting when the company has a majority shareholder, who owns the personal power to impact on important decisions of the company. As we know, the shareholder connects the public with corporate legal status. Depending on this status, it is the responsibility of certain property and management rights. Along with these rights, majority shareholders carry certain duties, which is important for the company and other shareholders. I would like to inform you that I could not find any work about this topic that would be in Georgian, so that was one of the important reasons why I chose this topic.

Key Words : Joint stock company; Majority shareholder; The duties of the majority shareholders.